გასაჩივრების წესი

1. სსიპ სურსათის ეროვნული **სააგენტოს უფროსის მიერ გამოცემული** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები **გასაჩივრდება თბილისის საქალაქო სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში**.

2. თბილისის **საქალაქო სამსახურის** და რეგიონული **სამმართველოს უფროსების მიერ გამოცემული** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები **გასაჩივრდება სააგენტოს უფროსთან, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.**

ზაკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი

ზაკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

3. **საჯარიმო ქვითრების საჩივრდება სააგენტოს უფროსთან, ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.**

ასკ-ის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის და 273-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 234^1 მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული

გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საჩივრდება მისი მხარისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში.